თბილისელთ მორიგი გამარჯვება
(სტალინო. ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

თბილისის დინამოელებმა, რომლებიც სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერებად ითვლებიან, მორიგი შეხვედრა ჩაატარეს 29 სექტემბერს სტალინოს "სტახანოვეცთან". ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია შავგულიძეს. მის მაგივრად თამაშობდა პეხლივანიდი.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა დინამოელებმა თავიდანვე ტემპიანი თამაში განავითარეს. "სტახანოვეცის" კარი სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. მეკარისა და დამცველთა ზუსტმა თამაშმა იხსნა თავიანთი გუნდი რამდენიმე ბურთისაგან. თბილისელთა იერიშს "სტახანოვეცის" თავდამსხმელებმა კონტრშეტევით უპასუხეს. მე–15 წუთზე ფროლოვმა და ბერძენიშვილმა იხსნეს კარი 2 მკვდარი ბურთისაგან.

თამაში კვლავ "სტახანოვეცის" საჯარიმო მოედანზე გადადის. 41-ე წუთზე ჯეჯელავასა და ბანიუკოვის მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია დაგვირგვინდა ხარბედიას თავური გარტყმით – პირველი ბურთი გაეხვია ბადეში.

შეჯიბრების მეორე ნახევარში დინამოელები უფრო მეტი ენერგიით თამაშობდნენ. 28-ე წუთზე პაიჭაძის მოწოდებულ ბურთს ბერეჟნოი ახვევს "სტახანოვეცის" ბადეში. მიუხედავად დაძაბული ბრძოლისა მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა.

თბილისის "დინამომ" მოიპოვა მორიგი გამარჯვება, მოიგო შეხვედრა ანგარიშით – 2:0.

ვ. მინაევი.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 1 ოქტომბერი, 1940 წ.